პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ-პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრი:

ირაკლი სალუქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

თბილისი, 2018

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-პროფესიული კოლეჯი „ბლექსი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 245610398

სახე

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული კოლეჯი
- [ ] პროფესიული კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2018 წლის 25, 26 და 27 აგვისტოს, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 10 აგვისტოს N736 ბრძანების საფუძველზე, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ-პროფესიულ კოლეჯში „ბლექსიში"ჯგუფის წევრებმა ვიზიტამდე შეისწავლეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მასალები დაწესებულებაში ვიზიტის პირველ დღეს მოხდა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციას, ადამიანური რერსურსების პირად საქმეებს, გადაამოწმეს ვებგვერდი, კატალოგი და რეესტრის ბაზა. აგრეთვე, შერჩევით გადამოწმდა კოლეჯის მიერ მარეგულირებელი დოკუმენტებით მოთხოვნილი პირობების დაცვა და სხვა.

ვიზიტის მეორე დღეს ავტორიზაციის ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ პერსონალს, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა მიერ მოხდა დასამატებელ პროგრამებთან მიმართებაში სასწავლო ფართების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვისა და საბიბლიოთეკო რესურსის მდგომარეობის შესწავლა და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მესამე დღე დაიწყო პროფესიული პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში მითითებული პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება და მოხდა პრაქტიკის ინსტრუქტორებთან და დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებთან გასაუბრება.

დღის მეორე ნახევარი დაეთმო ექსპერტთა მუშაობას დასკვნის პროექტზე, დაწესებულების წარმომადგენლების მიერ არგუმენტების შესწავლას და მტკიცებულებების მოგროვებას და სხვა. ვიზიტის დასასრულს ექსპრტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შემაჯამებელი მოსაზრებები.

უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ-პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მხრიდან იგრძნობოდა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, მაღალი პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი და მზაობა მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები გაეზიარებინათ, უზრუნველყოფილი იყო კომფორტული სამუშაო პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი 6	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	მუხლი 6 / პუნქტი ა)	■	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	მუხლი 6 / პუნქტი ბ)	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	მუხლი 6 / პუნქტი გ)	■	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	მუხლი 6 / პუნქტი დ)	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	მუხლი 6 / პუნქტი ე)	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა,	მუხლი 6 /	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

	რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	პუნქტი ვ)		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	□
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას. მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და ვენტილაციის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.).	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

	ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;			
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	მუხლი 7 / პუნქტი ი)	■	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8	■	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	მუხლი 8 / პუნქტი ა)	■	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	მუხლი 8 / პუნქტი ბ)	■	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	მუხლი 8 / პუნქტი გ)	■	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

-

VI. რეკომენდაციების შეჯამება

- ✓ <u>სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა დაეყრდნოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას და დაწესებულების სამოქმედო გეგმებში გაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები უფრო დაზუსტებულად და განისაზღვროს შესრულების ინდიკატორები.</u>

VII. დაწესებულების მისია

სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" მისიაა „იყოს რეგიონში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ლიდერი დაწესებულება, რომელიც განვითარებაზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების მოქნილი შიდა სისტემის ჩამოყალიბებით მომხმარებელს, ყველა დაინტერესებულ პირს შესთავაზებს ხარისხიან პროფესიულ განათლებას და სოციალური პარტნიორობის გაძლიერებით ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა, პროფესიულ სტუდენტთა კარიერულ წინსვლას."

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმებული იქნა პროგრამების დამატების მიზნით სსიპ პროფესიული კოლეჯი „ბლექსი" მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და დადგინდა შემდეგი:

1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა" დაწესებულების წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ არის დამტკიცებული და მასში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
2. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია" დამტკიცებულია დაწესებულების წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ და მასში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
3. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საავტომობილო გზების მშენებლობა" დამტკიცებულია დაწესებულების წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ და მასში განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები" დამტკიცებულია დაწესებულების წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ და მასში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
5. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება" დამტკიცებულია დაწესებულების წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ და მასში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული პროგრამები ,,საავტომობილო გზების მშენებლობა", ,,სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება", ,,მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები" და ,,კონდიტერია" ხორციელდება დუალური მიდგომით,

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტები მოიცავს სასწავლო გეგმებს და მოდულებს, რომლებიც ადაპტირებულია ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად. პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ადაპტირება განხორციელდა მათი უშუალო ჩართულობით.

ექსპერტების მიერ შემოწმდა სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებით განსაზღვრული წინაპირობები.

კოლეჯს შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული პროგრამის განხორციელებისა და სწავლების მოდულური ან დუალური მიდგომების დასაბუთების აუცილებლობას.

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სასწავლო დაწესებულება იცავს პროგრამის დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანისთვის დადგენილ რეგულაციებს.

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის გამოყენების დადასტურების მიზნით ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა ერთ-ერთი პროგრამისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და დადგინდა, რომ დაწესებულება იცავს მის მიერ შემუშავებულ წესებს.

დაწესებულებას პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის გაფორმებული აქვს სამმხრივი მემორანდუმები უვადოდ ქვემოთ ჩამოთვლილ კომპანიებთან, რომლებშიც გაწერილია წარმოებაში სწავლების ძირითადი საკითხები და მხარეთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ელექტროობა" - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები ,,g^2 ბილდინგი", ,,ანაგი" და ,,ELSTAR" ;
2. მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,კონდიტერია" - საკონდიტროები ,,ალუბალი" და ,,დერგარი", სასტუმროები ,,ვინადამი", ,,ინტურისტი", ,,რედისონ ბლუ ბათუმი", ,,შერატონ ბათუმი", ,,ჰილტონ ბათუმი" და სააქციო საზოგადოებასთან ,,გუდვილი";
3. მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,საავტომობილო გზების მშენებლობა" - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები ,,ბონდი", ,,გზა", ,,გზები" და ,,ზიმო 7";
4. მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები" - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები ,,g^2 ბილდინგი", ,,ანაგი", ,,ორბი ჯგუფი" და ,,ოცნება" ;
5. მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება" - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები ,,g^2 ბილდინგი", ,,ორბი ჯგუფი" და ,,ოცნება" .

ვიზიტის პერიოდში მოხდა შერჩევით შემდეგი პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება: სასტუმროები „რედისონი" და „ინტურისტი", სამშენებლო კომპანიები ,,g^2 ბილდინგი" და ,,ზიმო 7" და საკონდიტრო ,,ალუბალი".

პრაქტიკის ობიექტებზე ექსპერტთა მიერ შემოწმდა პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო პირობები და ჩატარებული იქნა ინტერვიუ პრაქტიკის კოორდინატორებთან, რომლებმაც დაადასტურეს მათი ჩართულობა და ინფორმირებულობა პროფესიული პროგრამების ავტორიზაციისთვის მომზადებაში და ამომწურავად გასცეს პასუხები ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დასმულ შეკითხვებს.

აღსანიშნავია, რომ კოლეჯში შემუშავებულია მექანიზმი, დუალური პროგრამის ფარგლებში, პარტნიორი კომპანიის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ამ კომპანიაში მყოფი პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფისთვის. ამ მექანიზმების საფუძველზე ხორციელდება პროფესული სტუდენტის გადაყვანა სხვა პარტნიორ კომპანიაში პროფესიული სტუდენტისა და კომპანიის თანხმობის შეთხვევაში კვოტის ფარგლებში ოთხმხრივი შეთანხმების საფუძველზე კოლეჯს, პროფესიულ სტუდენტს, არსებული პარტნიორ კომპანიასა და ალტერნატიული კომპანიას შორის. იმ შემთხვევაში თუ პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველყოფას ვერ შეძლებს კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს სთავაზობს შიდა ან გარე მობილობას.

ავტორიზაციის ექსპერტების აზრით პროგრამით დაგეგმილი პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება უზრუნველყოფილია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

თბილისი, 2018

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა";
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია";
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საავტომობილო გზების მშენებლობა";
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები";
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება";
- ინტერვიუ ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- დაწესებულების წესდება;
- სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორსა და პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება 01-02/82 13/07/2018 ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესის, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედური დამტკიცების შესახებ;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ინსტრუქტორებთან ინტერვიუს შედეგები;
- პრაქტიკის ობიექტებზე ვიზიტის შედეგები;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება 01-02/119 22/08/2018 სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი" დუალური პროგრამის ფარგლებში პარტნიორი კომპანიის მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მის მიერ შერჩეული პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....

თბილისი, 2018

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს და ვებგვერდზეა ატვირთული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებში გამოსახული მოცულობისა და თვეებში გამოსახული სწავლის ხანგრძლივობის, პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესის შესახებ. კატალოგში ინფორმაცია ასახულია ანონსის სახით დასამატებელი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ,,ელექტროობა", ,,კონდიტერია", ,,საავტომობილო გზების მშენებლობა", ,,მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები" და ,,სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება" შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული კატალოგი http://batumiprof.ge*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შესაბამისობის დადგენისთვის შედარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებს. კერძოდ,:

- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა" ჩარჩო დოკუმენტს ,,ელექტროობა" კვალიფიკაციის კოდით 040569 ;
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია" ჩარჩო დოკუმენტს ,,სასტუმრო, რესტორანი, კვება" საფუძველზე, კვალიფიკაციის კოდით 010466
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საავტომობილო გზების მშენებლობა" ჩარჩო დოკუმენტს ,,სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა" კვალიფიკაციის კოდით 040690;
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები" ჩარჩო დოკუმენტს ,,მშენებლობის წარმოება" კვალიფიკაციის კოდით 040689;
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება" ჩარჩო დოკუმენტს ,,მშენებლობის წარმოება" კვალიფიკაციის კოდით 040687;

შედარების შედეგად დადგინდა, რომ დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა";
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კონდიტერია";
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,საავტომობილო გზების მშენებლობა";
- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ქვის სამუშაოების წარმოება";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები რომელიც გაწერილია სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

აღნიშნული დოკუმენტის შესწავლის შედეგად ავტორიზაციის ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გაუზიარეს მოსაზრება, რომ მე-3 მუხლში, რომელიც შეეხება ზოგადად პროფესიული სტუდენტის მიღებას, გაწერილი არ იყო დუალურ პროგრამაზე სტუდენტის მიღების წესი და მიუხედავად იმისა, რომ იგი რეგულირდებოდა ამავე დოკუმენტის მე-8 მუხლით, დაინტერესებულ პირებისთვის რთულად გასაგები იყო; აგრეთვე, 32-ე მუხლში ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის შეფასების წესი", რომელიც ეხებოდა მხოლოდ საგნობრივ პროგრამებს არ იყო მითითებული, რომ საგნობრივი პროფესიული პროგრამებისთვის იყო მხოლოდ განკუთვნილი; დოკუმენტის 33-ე მუხლში, რომელიც მოდულურ პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესს განმარტავს, პროფესიული სტუდენტის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

გასაჩივრების წესი აღწერილი იყო პუნქტებად, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მხოლოდ მოდულური პროგრამის პროფესიული სტუდენტისთვის იყო გაწერილი.

კოლეჯის ხელმძღვანელობას მიეცა რჩევა ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" დახვეწისა და ნათლად აღქმადობის მიზნით გაემიჯნათ საგნობრივი და მოდულური პროფესიული პროგრამების შემთხვევაში რეგულაციები, ხოლო პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების წესი აღწერილი ყოფილიყო ცალკე მუხლად.

დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გაიზიარეს რა აღნიშნული, ვიზიტის მიმდინარეობისას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში შეიტანეს ცვლილებები კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აგვისტოს ბრძანებით N01-02/125, რომელშიც გათვალისწინებული იქნა ექსპერტთა რჩევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიერ შემუშავებული რეგულაციების დაცვის გადამოწმების მიზნით შესწავლილი იქნა რამოდენიმე მაგალითი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის შემთხვევაში. დადგინდა, რომ კოლეჯი იცავს მისსავე გაწერილ რეგულაციებს და დროულად და სწორად ასახავს ინფორმაციას ემისის ბაზაშიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აგვისტოს ბრძანებით N01-02/125 სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2018 წლის 26 ივლისის N01-02/91 ბრძანებით დამტკიცებულ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში" ცვლილებებისა და დამატების შესახებ;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

- სტუდენტთა პირადი საქმეების შესწავლა, რომლებმაც ისარგებლეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის უფლებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. ვიზიტის მიმდინარეობისას კოლეჯის წარმომადგენელმა წარმოადგინა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები კოლეჯებთან: „ლაკადა", „ახალი ტალღა", ,,ჰორიზონტი", ,,მერმისი" და ,,სპექტრი". აღნიშნული კოლეჯებიდან დაწესებულების მიერ დამატების მიზნით წარმოდგენილ პროგრამებიდან ახორციელებენ შემდეგს:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ახალი ტალღა"- ელექტროობის მე-3 საფეხური, მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები, კულინარიის ხელოვნება;
ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,ჰორიზონტი" - ელექტროობა, კულინარიის ხელოვნება;
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,სპექტრი" - სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა/ ქვის სამუშაოების წარმოება, საავტომობილო გზების მშენებლობა, ელექტროობა;
სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ლაკადა" - ელექტროობა, კულინარიის ხელოვნება;
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი,,მერმისი" - კონდიტერია, -დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი, კონდიტერია.

ექსპერტების აზრით, დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს შემდგომი განათლებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პროფესიულ კოლეჯებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები ეფუძნება დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე ციკლს, რომელშიც ჩართულია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, კოლეჯის პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტის, მასწავლებელის და დამსაქმებლის პერმანენტულ გამოკითხვას თითოეულისთვის შედგენილი კითხვარებით, რომლებიც ატვირთულია დაწესებულების ვებგვერდზეც.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გადამოწმდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებები, ჩატარებული გამოკითხვის ანალიზი, მათი გამოყენებით შემუშავებული რეკომენდაციები და შედეგების შედეგად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში და მარეგულირებელ დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

ავტორიზაციის ექსპერტები გაეცნენ კოლეჯის სამოქმედო გეგმის 2017 წლის ანგარიშს, რომელშიც წარმოდგენილი იყო ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუ;
- 2017 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალები;
- კოლეჯის ვებგვერდი;

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯს „ბლექსის" უსასყიდლო უზუფრუქტით მფლობელობაში აქვს არსებული სახელმწიფო ქონება.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84	**2071,99**
2	ქ. ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. №61	2834

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამები რომლის განხორციელებასაც გეგმავს კოლეჯი განხორციელდება ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84 ნომერში მდებარე შენობაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- ✓ ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტების მიერ მოხდა საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამებისთვის გამოყოფილი აუდიტორიების ვიზუალური დათვალიერება. ექსპერტებმა შეამოწმეს ადგილზე არსებული ინვენტარი, ტექნიკური მოწყობილობები, მათი რაოდენობები და მონაცემები.

მოდულური და დუალური სწავლებისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს შემდეგი აუდიტორიები:

ელექტროობის მოდულური პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს 3 აუდიტორია - 1 C გარემო (N8) რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობით ცვლადი და მუდმივი დენის კვების ბლოკით, მულტიმეტრით, ვოლტმეტრით, ფაზომეტრით და სხვა ელექტროობის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მოწყობილობებით. ამავე პროგრამისთვის ასევე გამოყოფილია 1 B (N28) და 1 A (N22) გარემოს აუდიტორიები რომლებიც ასევე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს ქვოტა 51 სტუდენტზე, აღნიშნული აღჭურვილობა შესაძლებლობას იძლევა სრულყოფილად და შეუფერხებლად წარიმართოს სასწავლო პროცესი.

კონდიტერიის დუალური პროგრამისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს 3 A გარემოს აუდიტორია (N5, N20 და N21) რომლებიც აღჭურვილია 1 კომპიუტერით მასწავლებლისთვის, პროექტორით, დაფით, მარკერით, მაგიდა და სკამით პროფესიული სტუდენტებისთვის და სხვა შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

აღჭურვილობით. მოდულის „პირველადი გადაუდებელი დახმარების“ სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯს გამოყოფილი აქვს 1 A/C გარემოს აუდიტორია (N24), რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა სამედიცინო ინვენტარით როგორებიცაა არტაშანი, არტერიული წნევის საზომი, ფონენდოსკოპი, ლახტი სამედიცინო ტახტი და სხვ. სხვა პრაქტიკული სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯს გამოყოფილი აქვს 1 C გარემოს (N18) აუდიტორია რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. მაგ: ელექტრო სასწორი, ღუმელი, მიკროტალღური ღუმელი, მაცივარი და სხვ. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს ქვოტა 29 სტუდენტზე, აღნიშნული აღჭურვილობა შესაძლებლობას იძლევა სრულყოფილად და შეუფერხებლად წარიმართოს სასწავლო პროცესი.

საავტომობილო გზების მშენებლობის პროგრამისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს 2 A გარემოს აუდიტორია რომლებიც აღჭურვილია 1 კომპიუტერით მასწავლებლისთვის, პროექტორით, დაფით, მარკერით, 17-17 მაგიდა და სკამით პროფესიული სტუდენტებისთვის და სხვა შესაბამისი აღჭურვილობით. მოდულის „საინჟინრო კომპიუტერული გრაფიკა AutoCad-1 (2d LT)“ სწავლის შედეგების მისაღწევად კოლეჯს გათვალისწინებული აქვს 1 B გარემოს აუდიტორია რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით პროფესიული სტუდენტებისთვის და მასწავლებლისთვის და სხვა საჭირო ინვენტარით. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს ქვოტა 32 სტუდენტზე, აღნიშნული აღჭურვილობა შესაძლებლობას იძლევა სრულყოფილად და შეუფერხებლად წარიმართოს სასწავლო პროცესი.

მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოების პროგრამის განხორციელებას კოლეჯი აპირებს 2 მიდგომით, დუალურის შემთხვევაში უმეტეს პრაქტიკულ სწავლის შედეგებს სტუდენტები ადასტურებენ შესაბამის საწარმოებში. კოლეჯში მოდულური და დუალური პროგრამის წარსამართად კოლეჯს გამოყოფილი აქვს 1 A გარემოს 1 B გარემოს და 2 C გარემოს აუდიტორია. ამათგან 1 C გარემოს აუდიტორია გამოიყენება „სხვადასხვა სახის იატაკის დაგება (ლამინირებული, ხის)“ მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად, ხოლო სხვა დანარჩენი პრაქტიკული სწავლის შედეგები მიიღწევა მეორე C გარემოს აუდიტორიაში, რომელიც აღჭურვილია ყველა აუცილებელი ინვენტარით, ისეთებით როგორიცაა იატაკის მოსახვეწი აპარატი, პარკეტის მოსაპირკეთებელი აპარატი, ელექტრო ხერხი, ელექტრო საბურღი, როტაციული ხერხი, პერფორატორი და სხვა. ასევე აღსანიშნავია, რომ კოლეჯს პროგრამის მოდულური მიდგომით განხორციელების დროსაც „სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება“ მოდულის ზოგიერთი სწავლის შედეგის მისაღწევად ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანიასთან „გ² ბილდინგთან“ რომელიც თავის მხრივ იღებს ვალდებულებას, რომ სტუდენტებს ამ მოდულის პრაქტიკულ სწავლის შედეგებს გაატარებს საწარმოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს ქვოტა 40 სტუდენტზე, აღნიშნული აღჭურვილობა შესაძლებლობას იძლევა სრულყოფილად და შეუფერხებლად წარიმართოს სასწავლო პროცესი.
სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა-ქვის სამუშაოების წარმოება პროგრამისთვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს 1 A და 1 B გარემოს აუდიტორია, თითოეული გარემოს ფართი გათვლილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, აუდიტორიები აღჭურვილია ყველა შესაბამისი ინვენტარით, კომპიუტერებით პროფესიული მასწავლებლისთვის, პროექტორით, პრინტერით, მაგიდა სკამებით პროფესიული სტუდენტებისთვის, დაფით და სხვა. პროგრამის სწავლის შედეგების 72 % მიიღწევა კომპანიებში რაც პროგრამის პრაქტიკულ ნაწილს წარმოადგენს. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს ქვოტა 30 სტუდენტზე, აღნიშნული აღჭურვილობა შესაძლებლობას იძლევა სრულყოფილად და შეუფერხებლად წარიმართოს სასწავლო პროცესი.
ზემოთ აღნიშნული აღჭურვილობები შეესაბამება მოდულებით განსაზღვრულ მატერიალურ რესურსს და საშუალებას იძლევა სრულყოფილად და შეუფერხებლად წარიმართოს სასწავლო პროცესი თითოეულ პროგრამისთვის. ერთჯერადად მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით.

- ✓ ინვენტარის შეძენის დოკუმენტაცია;
- ✓ მიღება-ჩაბარების აქტები;
- ✓ ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი"არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. გათბობა ხორციელდება ელექტროღუმელებისა და კონდიციონერების საშუალებით, რომელთა ფლობის დოკუმენტაცია წარმოადგინა დაწესებულების წარმომადგენელმა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის სასწავლო შენობების ფაქტობრივი მდგომარეობა;
- კოლეჯის მიერ კომუნალური გადახდის ქვითრები;
- ინვენტარის შეძენის დოკუმენტაცია;
- მიღება-ჩაბარების აქტები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგელებთან.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" ბიბლიოთეკა დასამატებელი საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებში მითითებული ბეჭდური, და ელექტრონული ლიტერატურის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით. დადგინდა, რომ ხუთივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული საბიბლიოთეკო რესურსი დაწესებულებას გააჩნია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

ბიბლიოთეკაში, წიგნები დამუშავავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები.

ბიბლიოთეკაში არის სამკითხველო, რომელიც აღჭურვილია 6 კომპიუტერით ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის, საერთო ჯამში კი ერთდროულად განთავსდება 10 პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნები;
- ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგებით;
- ვებ გვერდზე განთავსებული კატალოგი (http://batumiprof.ge/ბიბლიოთეკა/)
- წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. დაწესებულებას მფლობელობაში გააჩნია 163 კომპიუტერი, მათგან 129 კომპიუტერი განლაგებულია აუდიტორიებსა და ბიბლიოთეკაში, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული სტუდენტები და პროფესიული მასწავლებლები, ხოლო 34 კომპიუტერს იყენებენ ადმინისტრაციის საქმიანობისთვის. ყველა კომპიუტერზე ხელმისაწვდომია უწყვეტი ინტერნეტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულებას ასევე მფლობელობაში გააჩნია კომპიუტერული ტექნიკა: 19 პრინტერი, 2 ქსეროქსი და 14 პროექტორი.

აუდიტორიებში განთავსებულ კომნპიუტერებში ჩატვირთულია სათანადო კომპიუტერული პროგრამები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

შეფასება:

- ვიზუალური დათვალიერება;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შედეგად მიღებული ინვენტარის მიღება - ჩაბარების აქტები;
- ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულები;
- პროგრამული უზრუნველყოფის შემოწმება.

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში საქმისწარმოება მიმდინარეობს სსიპ - პროფესიული კოლეჯის საქმისწარმოების წესის შესაბამისად. დაწესებულება ჩართულია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში Eflow, დაწესებულება ასევე აწამოებს პერმანენტულად ინფორმაციის შევსებას ელექტრონული მართვის სისტემაში, გამოყოფილია ემისის ბაზაში ინფორმაციის სისრულეზე და განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ელექტრონული ბაზების შევსების სისრულე და დარღვევები და უზუსტობები არ დაფიქსირებულა.

დაწესებულება ბრძანებებს აღრიცხავს დიფერენცირებულად და გააჩნია შემდეგი წიგნები: ბრძანებებისთვის ძირითადი საქმიანობის შესახებ, ადმინისტრაციული სახის ბრძანებებისთვის, პ/შ-ის ბრძანებებისთვის, ბრძანებებისთვის პროფესიული სტუდენტების მოძრაობის შესახებ, მოკლევადიანი კურსების ფარგლებში სარეგისტრაციო წიგნი და ჟურნალები: მასწავლებლებთან და სტუდენტებთან დაკავშირებული ბრძანებები. წიგნებისა და ჟურნალების გვერდები დანომრილია, აკინძულია წესების დაცვით (გაყრილი აქვს ზონარი, დამოწმებულია ბეჭდითა და ხელმოწერით).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- დირექტორის ბრძანებით N 01-02/87 18/07/2017 სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
- საქმისწარმოების წესის გამოყენების გადამოწმების შედეგები;
- დირექტორის ბრძანებით N01-02/69 04/06/2018 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრში მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ;
- ემისის ბაზის გადამოწმების შედეგები;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან;
- რეგისტრაციის წიგნები და ჟურნალები.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები-შტატი, სადღეღამისო დარაჯი, ვიდეოსათვალთვალო კამერა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ტერიტორიაზე და შენობაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების ნორმები, რომელიც ხორციელდება შესაბამისი მექანიზმების დაცვით, სათანადო ინვენტარის გამოყენებითა და შესაბამისი კომპეტენციის პირების საშუალებით. კერძოდ:

ა) შენობის ორივე სართულზე მოწყობილია სპეციალური სახანძრო სტენდები ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით და დამუხტული ვადის მქონე ცეცხლმაქრებით. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ბ) კოლეჯის ორივე სართულზე გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები;

გ) კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებით, რომელთაც გააჩნიათ მოხმარების ვადები. პირველად სამედიცინო დახმარებას კოლეჯში ახორციელებს მედდა, რომელიც მოქმედებს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

კოლეჯში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია, რომელიც ასევე თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული;

დ) კოლეჯში მატერიალური ქონების დაცვას უზრუნველყოფს 2017 წლის 29 დეკემბერს ხელშეკრულება N5 შესაბამისად შ.პ.ს. „ვიქტორია სექიურითი", ხოლო წესრიგის დაცვას შინაგანაწესში გაწერილი რეგულაციების შესაბამისად კი ახორციელებს 2017 წლის 29 დეკემბერს ხელშეკრულება N1 შესაბამისად სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით.
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუ;
- კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" შინაგანაწესი;
- დამტკიცებული საევაკუაციო გეგმა;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამედიცინო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;
- სსიპ პროფესიული კოლეჯს „ბლექსი" და შ.პ.ს. „ვიქტორია სექიურითი" შორის 2017 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება N5;
- სსიპ პროფესიული კოლეჯს „ბლექსი" და სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს შორის 2017 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება N1.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....

.....

.....

თბილისი, 2018

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ პროფესიულ კოლეჯში „ბლექსი"არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო: სველი წერტილები სტანდარტის შესაბამისი კარებითა და დასაყრდნობი სახელურებით, შენობაში ასასვლელ შიდა კიბეებზე დამონტაჟებულია ლიფტის გადმოსახსნელი პანდუსები, თუმცა მისი მოხმარება შეზღუდული შესაძლებლობის პირისთვის რთულია კონსტრუქციული პარამეტრებიდან გამომნდინარე. აღნიშნულ საკითხზე დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას კოლეჯის დირექტორმა ექსპერტებს აცნობა, რომ ამ ეტაპზე შენობაში არ არის შესაძლებლობა მოეწყოს სტანდარტების შესაბამისი პანდუსი, რომლის მოხმარებას შეძლებს შშმ პირი დამოუკიდებლად და მათი დახმარება ევალება კოლეჯის დამხმარე თანამშრომელს, რომლის დასადასტურებლად წარმოადგინა მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, რომლის მუხლი 2-ის ,,დასაქმებულის მიერ შესასრულებელი შრომითი საქმიანობა" 2.1.6 პუნქტი ითვალისწინებს შემდეგს ,,უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის პირთა კოლეჯის ტერიტორიის ფარგლებში გადაადგილებას", რაც ადასტურებს, რომ ქვესტანდარტის მოთხოვნა დაცულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- დამხმარე თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვებ-გვერდი http://batumiprof.ge/ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია კოლეჯის მისია, ხედვა, დაწესებულების სტრუქტურა, ღირებულებები, ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების შესახებ, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა და ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ფოტო-გალერეა, სტუდენტთა ელექტრონული გამოკითხვა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და კითხვარების ნიმუშები. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, უკანასკნელად ვებგვერდი განახლებული იქნა 2018 წლის 21 აგვისტოს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდი http://batumiprof.ge/

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით დაწესებულებაში შემუშავებულია და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ისინი ითვალისწინებენ მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებას, გამომდინარეობენ დაწესებულების მისიიდან და მიმართულნი არიან კოლეჯის განვითარებისა და სრულყოფისკენ. დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

ექსპერტების გამოთქმულ მოსაზრებაზე, რომ <u>სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა დაეყრდნოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას და დაწესებულების სამოქმედო გეგმებში გაიწეროს სამუშაოს შესრულების ვადები უფრო დაზუსტებულად და განისაზღვროს შესრულების ინდიკატორები,</u> გვიპასუხეს, რომ გაცნობილები არიან მეთოდოლოგიას და დაგეგმილი აქვთ აღნიშნული სამუშაოს ჩატარება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლმა წარმოადგინა ყოველწლიური ანგარიშები დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- კოლეჯის მისია.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: .....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: .....
.....
.....

თბილისი, 2018

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები. კოლეჯშის პერსონალი შედგება 33 დასაქმებულისგან: 15 ადმინისტრაციული პერსონალი, 12 ტექნიკური პერსონალი და 6 შტატგარეშე თანამშრომელი: 2 ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, 1 ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ასისტენტი და 3 ჟესტური ენის თარჯიმანი.

სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" დირექტორის ბრძანებით N 1-02/123 2018 წლის 24 აგვისტოს დამტკიცებულია ,,საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ" და სამსახურეობრივი ინსტრუქციები, რომლის მიხედვით გადამოწმდა პერსონალის შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.

პერსონალის პირად საქმეებში არ აღმოჩნდა CV-ებში მითითებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლელიც ავტორიზაციის ექსპერტთა მოთხოვნის შემდეგ ყველა თანამშრომელმა წარმოადგინა ვიზიტის დასრულებამდე. ექსპერტებმა გადაამოწმეს კოლეჯში თითოეული დასაქმებული პირის კვალიფიკაციის შესაბამისობა საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით დაკავებულ თანამდებობებთან, რომლის შედეგადაც ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის დირექტორის ბრძანებებით პერსონალის დანიშვნის შესახებ;
- კოლეჯის პერსონალის პირადი საქმეებით და შრომითი ხელშეკრულებები;
- დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუ;
- კოლეჯის ვებგვერდი http://batumiprof.ge/;
- სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი" თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციებით;
- სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი" დირექტორის ბრძანებით N 1-02/123 24/08/2018 საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ;

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დამატების მიზნით წარმოდგენილი ხუთივე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ, რომელთა კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო მათ პირად საქმეებში. დაწესებულების მიერ პროფესიული პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელი ობიექტების ხელმძღვანელობასთან ერთად შერჩეულია შესაბამისი კომპეტენციის პრაქტიკის ინსტრუქტორები.

პროფესიული მასწავლებლებისა და პრაქტიკის ინსტრუქტორების კომპეტენტურობა ასევე დადასტურდა ინტერვიუების პროცესში. აღსანიშნავია მათი ინფორმირებულობა, მზაობა და პოზიტიური დამოკიდებულება დასამატებლად წარმოდგენილი პროგრამების მიმართ.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge.

შეფასება:

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

თბილისი, 2018

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დამატების მიზნით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები შრომის კოდექსის არსებით პირობათა მოთხოვნების შესაბამისად და ძალაში შედის პროგრამების დამატებისა და ჯგუფების დაკომპლექტების შემთხვევაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

[redacted] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თბილისი, 2018

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ელექტროობა	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში (040569)	52	67	ქართული	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84		51
	კონდიტერია	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში (010466)	80	95	ქართული	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84		29
	საავტომობილო გზების მშენებლობა	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში (040690)	84	99	ქართული	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84		32
	მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოების	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში (040689)	77	92	ქართული	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84		40
	სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობა-ქვის სამუშაოების წარმოება	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში (040687)	59	74	ქართული	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №84		30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. სსიპ პროფესიული კოლეჯის „ბლექსი“ ვიზიტის დღის წესრიგი

დანართი 2. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 27 აგვისტოს ბრძანებით N01-02/125 სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2018 წლის 26 ივლისის N01-02/91 ბრძანებით დამტკიცებულ ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ ცვლილებებისა და დამატების შესახებ.

დანართი სულ 6 გვერდი.

04/09/2018 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თბილისი, 2018